04/04/2024

MES 7 24 0000394820

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 21 მარტს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ალინა კუპრავა;
- ბარბარე გონაშვილი;
- ნინო თამაზაშვილი;
- მაია ომიაძე;
- ნანა ვერულაშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ინტერბიზნესის აკადემია
დირექტორი - ინგა მანაშერიძე;
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნაზო წიბლიაშვილი.

შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინო“
დირექტორი - ნანული ზარიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თინათინ ჭუმბაძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს ინტერბიზნესის აკადემიაში საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოს" მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) 2023 წლის 28 ივლისის სხდომაზე, განხილულ იქნა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის გადამოწმების მიზნით. მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2024 წლის 23 იანვარი, მონიტორინგის ფორმად - დაწესებულებაში ვიზიტი (ოქმი N972564-08.08.23). მიმდინარე წლის 8 იანვრის საბჭოს სხდომაზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ციხისელმა წარადგინა შუამდგომლობა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მონიტორინგის ფორმის ცვლილებასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარე და წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულ შუამდგომლობას და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტების გამოთხოვა (ოქმი N48251-22.01.24). 2024 წლის 24 იანვარს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ცენტრიდან გაეგზავნა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N64084 - 24.01.24) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიშის წარმოდგენასთან დაკავშირებით, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული წერილის პასუხად, 2024 წლის 07 და 12 თებერვალს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის, შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიში შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არ გამოვლენილა, დამატებით, ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა, შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა და ასევე, ფოტო და ვიდეო მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთლიან პერიმეტრზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას. სამსახური საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას სიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის, შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით და სთხოვს საბჭოს, მიიღოს ინფორმაცია ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

პირველი საკითხი: შპს ინტერბიზნესის აკადემიაში საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ხათუნა ჩხარტიშვილს, შპს ინტერბიზნესის აკადემიასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფების თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 15 იანვრის N27397 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ინტერბიზნესის აკადემიაში ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საფინანსო სერვისების" ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტით ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შეფასება 2024 წლის 26 იანვარს, მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. No7. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი ორგანიზაციის

წარმომადგენლებთან. დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას აქვს საუკეთესო თანამშრომლობის გამოცდილება პარტნიორებთან, რომლებიც ამავდროულად არიან პრაქტიკის განმახორციელებელი და დამსაქმებელი ორგანიზაციები. ერთ-ერთი ნათელი მაგალითია სს „ლიბერთი ბანკთან“ მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელიც ორმხრივად დადებით და სასარგებლო შედეგებზეა ორიენტირებული. „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ლიბერთი ბანკის“ მიერ სრული ინვენტარით და დანადგარით აღიჭურვა სალაროს ოთახი და კრედიტ ოფიცრის სივრცე, პროფესიულ სტუდენტებს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას ბანკში არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ატარებენ საინფორმაციო ხასიათის პრეზენტაციებს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პროფესიული მასწავლებლებისთვის აწყობენ ტრენინგებს სიახლეების გასაცნობად, ასევე, აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროგრამაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შესარჩევ პროცესში. ლიბერთი ბანკის პროექტის „პროფესიულ სასწავლებლებთან პარტნიორობა“ შემაჯამებელ შეხვედრაზე ლიბერთი ბანკის მიერ წარმოდგენილი იყო სტატისტიკა პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმების რეიტინგული მაჩვენებლებით. დასაქმების საუკეთესო შედეგით პირველ ადგილზე დასახელდა ინტერბიზნესის აკადემია.

2. პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისათვის აკადემიას შესყიდული აქვს და იყენებს https://testmoz.com/ ელ. პლატფორმას, რომელიც მოდიფიცირდა და იძლევა სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე, გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას. პროფესიული სტუდენტის საგამოცდო სივრცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა, მომხმარებელს (პროფესიულ სტუდენტს) შეყავს თავისი მონაცემები და სისტემაში შესასვლელი პაროლი ეგზავნებათ პერსონალურ ელ. ფოსტაზე, ასევე, მეტი სანდოობისთვის მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები. შეფასების დაწყების წინ სისტემაში გამოდის შეფასების პროცესის აღწერა, შეფასების სქემა, შეფასების ხანგრძლივობა, განმეორებითი შეფასების და აპელაციის პროცედურები. შეფასების მსვლელობის დროს ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და დისტრაქტორების თანმიმდევრობას. პროფესიული სტუდენტი ვერ დაასრულებს გამოცდას, თუ რომელიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი, შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი, ასევე, მას აქვს საშუალება აკონტროლოს საგამოცდო დრო, დასრულების შემდგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება, დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და რამდენი პროცენტი დააგროვა სწორი პასუხების, ასევე, აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს, თუმცა არ აჩვენებს სწორ პასუხებს. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში ირევა, ასევე, დისტრაქტორები, შეფასების დასრულების შემდეგ ხდება შედეგების ჩამოტვირთვა, სადაც ასახულია თარიღი, შედეგი, დროის ხანგრძლივობა, თითოეული გამოსაცდელისთვის და ასევე, დადასტურების პროცენტი, თითოეული პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ელექტრონული სახით ინახება მონაცემთა ბაზაში და მოდულის დასრულების შემდეგ ხდება მისი გადატანა როგორც გარე ვინჩესტერზე, კომპიუტერის მყარ დისკებზე, CD დისკებზე და ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“

ექსპერტის განცხადებით, საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებამ დაიმატა 2018 წლის 7 დეკემბერს N183 გადაწყვეტილებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 30-ით. კოლეჯი 2018 წლიდან დღემდე წარმატებით ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, მიმდინარე წელს კოლეჯმა გადაწყვიტა 30-ით გაზარდოს პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა, რაც განპირობებულია კურსდამთავრებულთა მზარდი მაჩვენებლებით, პარტნიორი დაწესებულებების მხრიდან კურსდამთავრებულთა გაზრდილი მოთხოვნით, კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი წერილები: სს გუდვილი ითხოვს წელიწადში 200-მდე კურსდამთავრებულს, სს ლიბერთი ბანკი ითხოვს წელიწადში 150-მდე კურსდამთავრებულს, პაშა ბანკი ითხოვს წელიწადში 20 დან-100-მდე კურსდამთავრებულს, ასევე, ლიდერ-კრედიტი და კრისტალი აცხადებენ თანხმობას აკადემიის კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. პროგრამაზე სწავლის მსურველების მოთხოვნა გაიზარდა 2023 წლიდან, ვინაიდან „საფინანსო სერვისები“ შევიდა პრიორიტეტული პროგრამების ჩამონათვალში და ვაუჩერული დაფინანსება გაიცა პროფესიულ სტუდენტებზე, ამ ფაქტიდან გამომდინარე 2023 წლის მიღებაზე აკადემიაში დარეგისტრირდა 160 აპლიკანტი, საიდანაც შეირჩა 30 პირი. 2023 წელს აკადემიის პარტნიორმა სს ლიბერთი ბანკმა აკადემიაში მოაწყო სივრცე - სალაროს ოთახის და საკრედიტო ოფიცერის იმიტირებული სამუშაო გარემო, კოლეჯს საჩუქრად გადასცა ფულის სათვლელი მანქანა და ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილ აუდიტორიაში განაახლა ინვენტარი და დამატებით შეიძინა 15 კომპიუტერი. აკადემიის მიერ საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია AC გარემო, რომელიც აღჭურვილია 30 პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სამუშაო მაგიდით, სკამით, კომპიუტერით (პროგრამა ალტას დემო ვერსიებით, წარმოდგენილი იქნა შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი), ასევე, აუდიტორიაში განთავსებულია დემონსტრირების საშუალება - მონიტორი, პრინტერი და პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, გათვლილია ერთ ცვლაში 30 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო 2 ცვლაში შესაძლებელია 60 პროფესიული სტუდენტის სწავლება. აკადემიას პროგრამის განხორციელებისათვის დამატებით გამოყოფილი აქვს მეორე აუდიტორია A გარემო , რომელიც 30 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით არის აღჭურვილი. რაც შეეხება პროგრამის პრაქტიკით უზრუნველყოფის საკითხებს, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა საფინანსო სერვისები“ და „საწარმოო პრაქტიკა ფინანსური სერვისები“ პრაქტიკული კომპონენტის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სს „ლიბერთი ბანკთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა), სს „კრედო ბანკთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა),, სს „პაშა ბანკი საქართველოსთან“, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლიდერ კრედიტთან“(ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა),, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა) და შპს „გუდვილთან“(ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა),. შპს „გუდვილთან“ ასევე, დაგეგმილია მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება. ექსპერტები ვიზიტით იმყოფებოდნენ პრაქტიკის ერთ-ერთი ობიექტზე სს „ლიბერთი ბანკი“. ბანკში ვიზიტით და წარმომადგენელთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტი არის

გამტარ-უნარიანი მიიღოს სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ფილიალების ოდენობიდან გამომდინარე (60 პროფესიული სტუდენტი) და უზრუნველყოფილი იქნას მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 13 (ცამეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 (თერთმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის ფარგლებში გავეცანით პერსონალის პირად საქმეებს, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, კომპანიები კურსდამთავრებულებს ძირითადად თბილისის ლოკაციაზე ითხოვენ, თუ განაწილებულია მათი რიცხვი.

ექსპერტის განცხადებით, ძირითადად ლოკაციის დაკონკრეტება არ ხდება. რეალურად დაწესებულებას სტუდენტები ჰყავს რეგიონებიდანაც და მათი განაწილებაც იმის მიხედვით ხდება, თუ ვის სად აწყობს დასაქმება და ასევე, ხდება იმის გათვალისწინებაც თუ კომპანიას რამდენი კადრი სჭირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, თუ რა შეცვალა დაწესებულებამ არსებულ რესურსებში, რომ მიიღოს 2-ჯერ მეტი სტუდენტი.

დარგის ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას დამატებული ჰყავდა განმახორციელებელი პირები. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ისინი იცნობდნენ აღნიშნულ პროგრამას და ჰქონდათ შესაბამისი კომპეტენციები, ასევე, დამატებული ჰქონდა მატერიალური რესურსიც. მისი თქმით, შრომის ბაზარზე დამოკიდებულებები შეცვლილია იქედან გამომდინარე, რომ საფინანსო სერვისებში კვალიფიკაციური კადრის მოთხოვნა ძალიან დიდია საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან, შესაბამისად, დაწესებულების მხრიდან კვოტის გაზრდის შესახებ განაცხადის შემოტანა თვალსაჩინოა და გამართლებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრის, ნინო ველთაურის, განცხადებით აღნიშნულ დარგს, საბანკო სექტორს, საფინანსო მიმართულებით სპეციალისტების ნაკლებობა ნამდვილად აქვთ. ძალიან ხშირად გამოწვევა არის ის, რომ შეთავაზებული ვაკანსიები არამარტო საბანკო, არამედ ყველა დარგში, არ არის მისაღები სამუშაოს მაძიებლისთვის და ძირითადად უარის თქმის საფუძვლად სახელდება დაბალი ანაზღაურება. ინტერბიზნესის აკადემიას დაფინანსებული ჰქონდა მოკლევადიანი პროგრამა, სალარო ოპერაციები, რომელიც ლიბერთი ბანკთან ერთად განხორციელდა და სამწუხაროდ, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს ლიბერთი ბანკში ან სხვაგან დასაქმების მაჩვენებელი ჰქონდათ ძალიან დაბალი, როდესაც აღნიშნული ფაქტი სიღრმისეულად იქნა გამოკვლეული, გაირკვა, რომ ლიბერთიმ კი შესთავაზა კურსდამთავრებულებს ვაკანსია, მაგრამ მათთვის არ იყო მისაღები სამუშაო პირობები, შესაბამისად განხილული საკითხიდან გამომდინარე დაწესებულებას კურსდამთავრებულების როგორი დასაქმების მაჩვენებელი აქვს, რამდენად პარტნიორ ორგანიზაციებში საქმდებიან კურსდამთავრებულები ან თუნდაც სხვა ორგანიზაციებში აღნიშნული პროფესიით.

დარგის ექსპერტის განცხადებით, საკვალიფიკაციო გრძელვადიან პროგრამზებზე დასაქმების მაჩვენებლის დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილი იყო პრეზენტაციაში. ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ პირობითად 2018 წელს 13 პროფესიული სტუდენტს, რომ მიენიჭა კვალიფიკაცია, აქედან 11, დასაქმებული იყო კვალიფიკაციით, შემდეგ წელს 23 სტუდენტთან

20 იყო კვალიფიკაციით დასაქმებული, შემდეგ წელსაც 18 დან 14 სტუდენტი, 2022-2023 წელს 18 დან 12 სტუდენტი, შესაბამისად ძირითადი ნაწილი დასაქმებულია კვალიფიკაციის მიხედვით. ასევე, დაწესებულებას ჩატარებული ჰქონდა სატელეფონო გამოკითხვა დასაქმებასთან დაკავშირებით და შემდეგ ეს ინფორმაციები ასახული იყო ანალიზშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა დასაქმების საკითხთან დაკავშირებით, რომ იმ კონკრეტულ წელს, როცა დასაქმების მაჩვენებელი იყო დაბალი, სავარაუდოდ, ეს უკავშირდებოდა ისეთი ნაკადის მიღებას, რომლებიც შემთხვევით და გაუცნობიერებლად იყვნენ მოხვედრილები კურსზე. რაც შეეხება „საფინანსო სერვისების“ პროგრამას, მისი თქმით, იმდენად განსხვავებულია მოკლევადიანი კურსისგან და იმდენად დიდ შესაძლებლობებს იძლევა, როგორც თეორიული ცოდნის მხრივ, ისე პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით, რომ მოთხოვნა და სტუდენტთა შემდგომი დასაქმებაც შესაბამისად ძალიან დიდი იყო. რაც შეეხება ციფრებს ეს მონაცემები ნამდვილად დაზუსტებულია, იმიტომ, რომ თავად ლიბერთი ბანკმა ჩაატარა აღნიშნული საკითხის კვლევა ამ პროგრამის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად შპს ინტერბიზნესის აკადემიას(ს/კ: 201990881) დანართით განსაზღვრულ „საფინანსო სერვისების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 21 მარტი.

მეორე საკითხი: შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოს" მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფების თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ,,კოლეჯ მესამე სამედიცინოში“ საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.დ) კომპონენტის, ასევე, დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა); ა.ბ) კომპონენტების; გ) ქვეპუნქტის გ.ა); გ.ბ) კომპონენტების; დ) ქვეპუნქტის დ.ა); დ.ბ) კომპონენტების, ე) ქვეპუნქტის ე.ა); ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების შესრულების შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად, ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 30 და 31 იანვარს შპს ,,კოლეჯ მესამე სამედიცინოში“ (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N142). ვიზიტი ჩანიშნული იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა წინა წარმოების ფარგლებში გაცემული როგორც შესაბამისობის, ასევე განვითარების რეკომენდაციების შესრულება. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

III სტანდარტი

3.2.1 4. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს დამატებითი არაფორმალური აქტივობების შეთავაზება პროფესიული სტუდენტებისათვის, სისტემური შეხვედრების ორგანიზება ფარმაცევტულ კომპანიებთან, ცხოვრების ჯანსაღის წესის პროპაგანდა, შემეცნებითი ღონისძიებების მხარდაჭერა, დასაქმების ფორუმებში აქტიური მონაწილეობა და ა.შ.

IV სტანდარტი

4.2.1. 1 . ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა დაწესებულებამ უზრუნველყოს კვლევის კითხვარების გადამუშავება სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი მხარდამჭერი აქტივობების ორგანიზება ადმინისტრაციული პერსონალისთვის, საქმისწარმოების, ადამიანური რესურსების მართვის, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების მიზნით.

4.2.1. 3. ექსპერტთა მხრიდან გაცემულია განვითარების რეკომენდაცია დაწესებულებამ სისტემურად განახორციელოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მათ შორის მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიუირების გზით გამოკვეთოს საჭიროებები, პერსონალის შეფასების ჯვარედინი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.

V სტანდარტი

5.2.2. 1. ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა ,,საქმისწარმოების ინსტრუქციაში“ ჩაიშალოს როგორ ხორციელდება დაწესებულებაში შიდა დოკუმენტბრუნვა, ასევე, დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და მიმოცვლის გამარტივების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დამატებით შეიძინოს ელექტრონული სისტემის (eflow) მომხმარებელი ადმინისტრაციული პერსონალისთვის და დაგეგმოს მიზნობრივი ტრენინგები.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

2.4.1.1 ინდიკატორში დასკვნის პროექტში იყო ტექნიკური უზუსტობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ 2023 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს გავლილი ჰქონდათ ორი მოდული პარტნიორ ორგანიზაციაში. დასკვნის პროექტში მითითებული იყო მოდული ,,მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“ ნაცვლად მოდულისა ,,მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“. შესაბამისად აღნიშნული დაკორექტირდა ინდიკატორის აღწერაში.

2.4.1.3 ინდიკატროში დასკვნის პროექტში იყო ტექნიკური უზუსტობა, ნახსენები იყო სიტყვა ,,აკადემია“, რომელიც არ ეკუთვნის აღნიშნულ კოლეჯს. შესაბამისად აღნიშნული გასწორდა ინდიკატორის აღწერაში.

2.4.1.4 ინდიკატორში დასკვნის პროექტში იყო რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გასწორებულია.

3.2.1.5 ინდიკატორთან მიმართებაში კოლეჯის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ დასკვნის პროექტში

ნახსენები წლები 2021-2022 წლის ჩატარებულ კვლევასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას და ინდიკატორის შინაარსობრივ აღწერას არ უკავშირდება. ამასთან, 3.2.2. კომპონენტთან მიმართებით, ყველა ინდიკატორის აღწერაში მითითებულია კოლეჯის მიერ ჩატარებული 2022-2023 წლის კვლევის მონაცემები, შესაბამისი დასაბუთებით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. შპს ,,კოლეჯი მესამე სამედიცინოს" სივრცეების განაწილება შემდეგია: ადმინისტრაციული პერსონალის სივრცე (2 სამუშაო სივრცე), პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო სივრცე (1), A გარემო თეორიული სწავლებისათვის (7 სასწავლო აუდიტორია), B გარემო ინფორმაციული წიგნიერების ზოგადი მოდულისთვის (1), C გარემო დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის (2 სიმულაციური გარემო). წინა წარმოების დროს ექსპერტთა მიერ 5.1.1.1 ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,მეწილად შესაბამისი" ვინაიდან დაწესებულების მიერ ფართით სარგებლობა არ არის უზრუნველყოფილი მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ წამოადგინა ფართის ქირავნობის განახლებული ხელშეკრულება, სადაც სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 2029 წლის 10 აპრილი და შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილია განკარგოს აღნიშნული ფართი ავტორიზაციის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის No67 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი", რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება", სადაც ასევე გაწერილია კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები. კოლეჯში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები მამაკაცებისთვის და გამოყოფილია საპირფარეშო შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით, დამონტაჟებულია ხელსაბანები და ვენტილაცია. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, აქვს უწყვეტი განათება. სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო ორგანოს - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2022 წლის 10 ოქტომბრის No182 აქტი, რომელიც ადგენს კოლეჯის შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოს" შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან. კოლეჯმა, ასევე, წარმოადგინა შპს „შენობა-ნაგებობათა სეისმური უსაფრთხოების ცენტრის" მიერ მომზადებული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, რომლის თანახმადაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაწესებულებაში

მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან დაწესებულებაში არასათანადოდ მოქმედებდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, დაწესებულებაში მოწესრიგებას საჭიროებდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის სივრცე (სამედიცინო კაბინეტი), გასაახლებელი იყო სამედიცინო საშუალებები, უტილიზაციას საჭიროებდა ვადაგასული სამედიცინო საშუალებები, დაწესებულებაში არ იყო დარეგულირებული კვალიფიციური სამედიცინო პირის მომსახურება უწყვეტად სწავლისა და სამუშაო დროებში ვინაიდან ექთნის პოზიცია ბრძანებით ჰქონდა დაკისრებული პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც მუდმივად არ იმყოფებოდა კოლეჯში.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის პროცედურას ახორციელებს IT მენეჯერი, რომელიც კოლეჯის დირექტორის მოადგილესთან კოორდინაციით ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასებას, დაწესებულებას შემუშავებული და 2020 წლის 4 ივლისის №19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“, რომელიც შესაბამისობაშია ’’პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ’’ საქართველოს კანონთან. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია ,,წესში მხოლოდ ერთი ჩანაწერი არსებობს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის არსებობის შესახებ, შესაბამისად რეკომენდებულია ზემოაღნიშნული საქმისწარმოების წესით განისაზღვროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკა და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”)“ მიმდინარე წარმოების ფარგლებში აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან კვლავ შესასრულებელია. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა ,,საქმისწარმოების ინსტრუქციაში“ ჩაიშალოს როგორ ხორციელდება შიდა დოკუმენტბრუნვა, ასევე, დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და მიმოცვლის გამარტივების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დამატებით შეიძინოს ელექტრონული სისტემის (eflow) მომხმარებელი ადმინისტრაციული პერსონალისთვის და დაგეგმოს მიზნობრივი ტრენინგები. წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამოყენება მიჩნეული იყო არასისტემურად. არ იძებნებოდა პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები და სხვა დოკუმენტები. მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. 2023 წლის მიღების ფარგლებში ატვირთულია პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები, ასევე სისტემაში მომზადებულია ცნობები პროფესიული სტუდენტებისათვის, ატვირთულია შემოსული დოკუმენტები და მიცემული აქვს შესაბამისი მსვლელობა. ექსპერტთა შეფასებით ხარვეზი გამოსწორებულია და შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის განთავსებას, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა შემოსავლების სამსახურის შესაბამის პორტალზე კოლეჯის ბუღალტრის მიერ მონაცემების ჩვენებით. კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან.

საბჭოს წევრმა, რუსუდან გიგაშვილმა, დატოვა საბჭოს სხდომა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან. გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა პროგრამის სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. დადასტურებულია სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა. წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია -,,პარტნიორი დაწესებულების ბაზაზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დადასტურების, განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესების მართვისთვის გამოიყენოს პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობებზე აღრიცხვის, პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების წარმოების, სწავლებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათი რელევანტურობის შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების დანერგვა და გამოყენება.“ მიმდინარე წარმოების ფარგლებში -ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა პარტნიორ კომპანიებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასა და სწავლებასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდისთვის პირველკურსელებს გავლილი ჰქონდათ პრაქტიკული კომპონენტი ორი მოდულის ფარგლებში (სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; და ,,მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“) პარტნიორ სააფთიაქო ქსელში- შპს ,,ავერსი ფარმა“. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა მეცადინეობის აღრიცხვისა და ჩანაწერების წარმოების ჟურნალები. კომპანიაში სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. აღნიშნული დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან (შპს ,,ავერსი ფარმა“) გასაუბრებით. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას კოლეჯმა გაითვალისწინა მათი ინტერესები და ყველა სტუდენტს მიეცა საშუალება სწავლება გაევლოთ რეალურ სამუშაო გარემოში კომპანიაში შპს ,,ავერსი ფარმა“-ში საცხოვრებელ ადგილთან ახლოს განლაგებულ ფილიალში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ფარმაცევტულ დაწესებულებასთან შპს „ავერსი ფარმა“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო) პრაქტიკული სწავლების განხორციელებისათვის კოოპერაციული სწავლების ფორმით. მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობის გათვალისწინებით ჯამში ხელშეკრულება გაფორმებულია 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებაზე. ერთ ცვლაში შესაძლებელია თითო აფთიაქში ორი პროფესიული სტუდენტის სწავლება. დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტის შეფასების ფურცელი, სადაც აფასებს პარტნიორ კომპანიას დადგენილების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

ექსპერტის განცხადებით, C გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების უსაფრთხოებას პრაქტიკული აქტივობის შესრულებისას. C გარემოში ასევე, განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას(ერთჯერადი

ხელთათმანები, პირბადეები, ერთჯერადი ხალათები და სხვა) და გამოყენებას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. რაც შეეხება ნარჩენების უტილიზაციის საკითხებს, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ეკოლაინთან“ (მომსახურების ხელშეკრულება) სახიფათო ნარჩენების უტილიზაციის შესახებ, რის მიხედვითაც, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბიო - ქიმიური ნარჩენების გატანა სპეციალური კონტეინერებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის ამაღლების მექანიზმები, რაც თავის მხრივ მოიცავს მათი წახალისებისკენ მიმართულ აქტივობებს, თუმცა დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს დამატებითი არაფორმალური აქტივობების შეთავაზება პროფესიული სტუდენტებისათვის, სისტემური შეხვედრების ორგანიზება ფარმაცევტულ კომპანიებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რა სახის აქტივობებს აკეთებდა დაწესებულება სტუდენტებისთვის პროგრამის ფარგლებში და იყო თუ არა ეს აქტივობები საკმარისი.

ექსპერტის განმარტები, დაწესებულების მიერ ჩატარებული აქტივობები არ იქნა მიჩნეული საკმარისად, მათ წარმოადგინეს ერთ-ერთი არაფორმალური აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტები შემოვიდნენ თხოვნის, რომ მათ უნდოდათ სატელევიზიო გადაცემაზე „ექიმები“ დასწრება, რაც ადმინისტრაციამ დაუკმაყოფილა, თუმცა აღნიშნული ფაქტი ექსპერტთა ჯგუფმა არ მიიჩნია საკმარისად და საჭიროა აღნიშნული მიმართულებით განვითარება, რომ მეტი სხვადასხვა ტიპის კონკურენტულ გარემოში შესთავაზოს სტუდენტებს აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით დასაქმებასთან დაკავშირებით, იყენებდა თუ არა რაიმე კონკრეტულ საშუალებას იმის დასადგენად კურსდამთავრებული ნამდვილად დასაქმებული იყო თუ არა.

დარგის ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული სატელეფონო კომუნიკაციის საშუალება ნამდვილად იყო, შესაძლებელია გასაუბრება მომხდარიყო პრაქტიკის ობიექტთან, პრაქტიკის ხელმძღვანელებთან, ასევე, დაწესებულებასთანაც, ვინაიდან ორივეს გააჩნიათ სიები დასაქმების მაჩვენებელთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს პროფესიონალური საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ კოლეჯს მონაწილება ჰქონდა მიღებული პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმატში. ის პროგრამები, რომელსაც კოლეჯი ახორციელებს, ფარმაცია ან საექთნო განათლება, იმდენად მოთხოვნადია ბაზარზე, რომ ვერ კმაყოფილდება კოლეჯის მიერ რიცხობრივად იმ კადრების რაოდენობა, რომელსაც ავერსი ითხოვს. ნებისმიერ დროს

შესაძლებელია კურსდამთავრებულის ტელეფონის ნომრის მიწოდება მოხდეს ექსპერტთა ჯგუფისთვის, რათა გადამოწმებულ იქნას მათი დასაქმება. ჯგუფიდან, რომელიც ასრულებს კურსს, 90% დასაქმებულია და ის 10% არის ის რაოდენობა, რომლებმაც გარკვეული პირადი მიზეზების გამო ვერ მოახერხეს სწავლის დასრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოში" საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელებულ მონიტორინგთან ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოში" (ს/კ:404935273) საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 21 მარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. No7
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67